ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგთა საყურადღებოდ!

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მართავს მასწავლებელთა მეორე ეროვნულ კონფერენციას.
კონფერენციის სახელწოდებაა: „საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“

კონფერენციის მიზანი: მასწავლებელთა პროფესიული და პედაგოგიურ - პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება და ამ მიზნით პედაგოგთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება .

მოსალოდნელი შედეგი:
მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ კოლეგებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და განიხილონ წარმატებული პრაქტიკა. კონფერენციის შედეგად მიღებული ინფორმაცია მასწავლებლებს დაეხმარებათ საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.
კონფერენციის ძირითადი მიმართულებები:

- გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების განვითარება;
- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- მშობელთა და საზოგადოების (თემის) ჩართულობა;
- ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა;

კონფერენციის სავარაუდო თემა შეიძლება იყოს : ინტეგრირებული გაკვეთილი; პროექტ-გაკვეთილი; კვლევაზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში; საგნობრივი ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში; ინოვაციური მეთოდები; საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; მშობელთა და საზოგადოების (თემის) ჩართულობა;კლასის

მართვა;კომუნიკაცია და სხვა. კონფერენციის თემა ასევე შეიძლება მოიცავდეს 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი პროგრამის შინაარსს.

კონფერენციის ეტაპები:

პირველი ეტაპი: რეგიონული კონფერენცია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგნობრივი სპეციალისტები განიხილავენ კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლის მსურველთა მიერ წარმოდგენილ განაცხადებს რეგიონისა და საგნობრივი მიმართულების გათვალისწინებით. კონფერენციის პირველი-რეგიონული ეტაპი ჩატარდება რეგიონში არსებული უნივერსიტეტების ბაზაზე და კვალიფიცირებული კომისია შეარჩევს სამ საუკეთესო ნაშრომს ყოველ საგნობრივ მიმართულებაში, ეროვნულ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

მეორე ეტაპი: დასკვნითი ეროვნული კონფერენცია

რეგიონულ კონფერენციებზე შერჩეული საუკეთესო ნაშრომები წარმოდგენილი იქნება ეროვნულ კონფერენციაზე. თითოეულ საგნობრივ მიმართულებაში მონაწილეებისა და კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოვლინდება სამი საუკეთესო ნაშრომი,რომელთა ავტორი/ავტორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრით,ხოლო კონფერენციის დასკვნით ეტაპზე გასულ ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ!!!

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლის ყველა დაინტერესებულ პედაგოგს. საკონფერენციო ნაშრომი უნდა ეფუძნებოდეს პედაგოგის მიერ 2013-2014 სასწავლო წელს სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობა/აქტივობებს. კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით მასწავლებელმა/მასწავლებელთა ჯგუფმა, უნდა შეარჩიოს კონფერენციის თემა და აღნიშნულ თემაზე მომზადებული მოხსენება, პრეზენტაცია და ***კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველის განაცხადი*** (იხილეთ ბმული) წარადგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი მიმართულების საგნობრივ ექსპერტ-კონსულტანტთან. ზემოხსენებული დოკუმენტაცია მიიღება მხოლოდ ელექტრონულ ფორმატში.დოკუმენტაციის მიღება დაიწყება 2014 წლის 1 სექტემბრიდან და გაგრძელდება 2014 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით (მითითებული ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!)

საკონფერენციო განაცხადის მიღება წარმოებს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

ზოგადი პროფესიული უნარები:slobzhanidze@tpdc.ge;

განათლების დაწყებითი საფეხური: nlabartkava@tpdc.ge

ქართული ენა და ლიტერატურა: mpapunashvili@tpdc.ge

ინგლისური ენა: npopiashvili@tpdc.ge

ფრანგული ენა: teristavi@tpdc.ge

გერმანული ენა : echigogidze@tpdc.ge

რუსული ენა: npetviashvili@tpdc.ge

მათემატიკა: zgiunashvili@tpdc.ge

ისტორია: lakhvlediani@tpdc.ge

გეოგრაფია: mratiani@tpdc.ge

სამოქალაქო განათლება: ggakheladze@tpdc.ge

ქიმია: narabuli@tpdc.ge

ბიოლოგია: rtedoradze@tpdc.ge

ფიზიკა: nmosulishvili@tpdc.ge

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი: mkapianidze@tpdc.ge

ინკლუზიური განათლება zkvachadze@tpdc.ge

ვასწავლოთ ქართული როგორც მეორე ენა: kme@tpdc.ge

პირველადი შერჩევის შემდეგ გეცნობებათ დამატებითი დეტალები.

გისურვებთ წარმატებას!

კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველის განაცხადი

სახელი.....

გვარი .....

პირადი ნომერი .....

სერტიფიკატის ნომერი (არსებობის შემთხვევაში) .....

რაიონი/რეგიონი .....

ელექტრონული მისამართი .....

ტელეფონის ნომერი .....

სკოლა ..... საგანი .....

განაცხადის დანართები:

1. მოხსენება

მოხსენება წარმოდგენილი უნდა იყოს: word-ის დოკუმენტი, არაუმეტეს ოთხი გვერდი, A4 ფორმატი , Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,5.)

მოიცავდეს:

- **მოხსენების სათაური;**
- **შესავალი** (მაქსიმუმ ნახევარი გვერდი);
- **მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა** (მაქსიმუმ ორი გვერდი);
- **შედეგი** (მაქსიმუმ ერთი გვერდი);
- **დასკვნა** (მაქსიმუმ ნახევარი გვერდი);
- **გამოყენებული ლიტერატურა.**

2. პრეზენტაცია

პრეზენტაციის ფორმა:

ზეპირი მოხსენების თეზისები საპრეზენტაციო ფორმატში (Power Point), მოხსენების რეგლამენტი - **10 წუთი (მაქსიმუმ 20 სლაიდი)**